

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
"დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების
შეტანის შესახებ"

ა.ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

"დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი მომზადებულია "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამოქმედო გეგმის წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 29 დეკემბრის N623 ბრძანებულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის შემუშავების ვალდებულებას სხვადასხვა ფორმის მიერ დასაქმების, გაცნობის, ტურიზმის, სწავლის, საშუაშაველო საქმიანობის განხორციელების შეთავაზებისას მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს სამუშაოს მაძიებლის, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მათი სრული ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების დაწესებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონის 34-ე მუხლს ემატება 2¹ პუნქტი, რომლის შესაბამისად, საზღვარგარეთ დასაქმების შემთხვევაში, დასაქმების კერძო სააგენტო ვალდებულია სამუშაოს მაძიებელი უზრუნველყოს ობიექტური, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციით იმ პირობებისა და შესაძლებლობების თაობაზე, რასაც მათ მოგზაურობასა და დროებით განქრების მანძილზე სთავაზობს დასაქმების კერძო სააგენტო, მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, ასევე პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარება სავალდებულოა მათი თავიდან ასაცილებლად. წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, სამუშაოს მაძიებელს უნდა ეცნობოს აგრეთვე იმ სასტუმროს ან საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი), სადაც სამუშაოს მაძიებელი უნდა განქრდეს. ასევე საქართველოს უახლოესი დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების, მიმღები ქვეყნის პოლიციის, პირველადი დახმარების, აგრეთვე სხვა შესაბამისი დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონის შესახებ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ სამუშაოს მაძიებლის დაცვასა და მის უსაფრთხოებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღების საკითხი;

კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის ფინანსური ზემოქმედება იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ ცვლილებებს ან მდგომარეობის გაუარესებას იმ პირთათვის, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება.

ბ.ვ) გადასახადების (მოსაკრებლების ან სხვა სახის გადასახდელის) შემოდებასთან დაკავშირებული საკითხები:

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ვ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ეუროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს მთავრობა, საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) წარმომადგენლების და ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობა ასახულია შეთანხმების ფურცელში, რომელიც კანონპროექტის პაკეტს თან ერთვის.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციებს (დაწესებულებებს) და ექსპერტებს წერილობითი შეფასება კანონპროექტის მიმართ არ წარმოუდგენიათ.

დ.დ) კანონპროექტის ავტორი-პარლამენტის წევრი ღალი ფაფიაშვილი

დ.ე) კანონპროექტის ინიციატორია- პარლამენტის წევრი ღალი ფაფიაშვილი

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ცვლილებებს საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებში.